განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ციფრული ჰუმანიტარია
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: **04. 10. 17**

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2017

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204861970 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ციფრული ჰუმანიტარია |
| განათლების საფეხური | დოქტორანტურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ციფრული ჰუმანიტარიის დოქტორი 1124 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 180 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | ახალი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ირინე დარჩია, თსუ, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მარინე ბერიძე, თსუ ენათმეცნიერების ინსტიტუტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თამარ თავხელიძე, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, სტუდენტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამა შემუშავებულია სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამების განვითარების ხელშეწყობას. ამდენად, პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ფინანსური და, შესაბამისად, მატერიალური რესურსებით. პროგრამის წარმატებით განხორციელების პოზიტიური წინაპირობებია აგრეთვე ის საერთაშორისო კონტაქტები, რომლის ფარგლებშიც მოხდა სადოქტორო პროგრამის შემუშავება და ილიაუნის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის მიერ 2010 წლიდან დღემდე განხორციელებული ციფრული ჰუმანიტარიის სამეცნიერო-კვლევითი პროექტები.

აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამა იქნება ციფრული ჰუმანიტარიის ერთადერთი სადოქტორო პროგრამა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ კავკასიის მთელ რეგიონში და შესაძლოა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაშიც. ციფრული ჰუმანიტარია არის თანამედროვე საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი და მოთხოვნადი მიმართულება, ხოლო საქართველოს აქვს მდიდარი და მრავალმხრივი, მსოფლიო მასშტაბით ღირებული ისტორიული, არქეოლოგიური, ლიტერატურული და კულტურული მემკვიდრეობა. აქედან გამომდინარე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამა მნიშვნელოვანი და აქტუალურია როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცისთვის, რადგან მის ფარგლებში ჩატარებულმა კვლევებმა შეიძლება წვლილი შეიტანოს არა მხოლოდ ქართული მეცნიერების განვითარების პროცესში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა 2017 წლის 4 ოქტომბერს. ვიზიტში მონაწილეობდნენ:

ირინე დარჩია - თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, თსუ ასოცირებული პროფესორი (თავმჯდომარე);

მარინე ბერიძე - თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ენობრივ მონაცემთა კომპიუტერული დამუშავების განყოფილების ხელძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (წევრი);

თამარ თავხელიძე - სტუდენტი (წევრი).

ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა შეხვედრები და ინტერვიუები შემდეგ დაინტერესებულ მხარეებთან: ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია (რექტორი, რექტორის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოვალეობის შემსრულებელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტები), სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი, სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი და სადოქტორო პროგრამის კანდიდატები, ამავე უნივერსიტეტის მონათესავე პროგრამების კურსადმთავრებულები. სატელეფონო ინტერვიუ შედგა დამსაქმებელთან, ხოლო სკაიპით მოხდა გასაუბრება ერთ-ერთ პოტენციურ დოქტორანტთან.

გარდა ამისა, ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა დაათვალიერეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა – ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ. ადგილზე ნახეს ელექტრონული საინფორმაციო რესურსები და პროგრამის მიზნებისთვის შეძენილი

უახლესი სამეცნიერო ლიტერატურა. ექსპერტებს გამოყოფილი ჰქონდათ დრო მიღებული ინფორმაციის გასააზრებლად, საბოლოო შეთავაზებების შესამუშავებლად. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი მიგნებები და რჩევები. ვინაიდან ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამა აკმაყოფილებს აკრედიტაციის ყველა სტანდარტს, რეკომენდაციების შემუშავება და წარდგენა არ მომხდარა.
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აკრედიტაციის ექსპერტებისთვის უზრუნველყვეს კარგი სამუშაო პირობები; ამომწურავი და დამაჯერებელი პასუხები გასცეს ყველა იმ შეკითხვას, რომლებიც დაისვა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრის მიერ. ვიზიტის დროს დადასტურდა ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაციის სიზუსტე. აღსანიშნავია, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგელებთან ჩატარებულმა შეხვედრებმა და ინტერვიუებმა ცხადყო სადოქტორო პროგრამის ის ძლიერი მხარეები, რომლებიც თვითშეფასების ანგარიშში მკაფიოდ არ იყო წარმოჩენილი.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამა სრულად შეესაბამება აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტს:

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა;
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- სასურველია, თვითშეფასების ანგარიში უფრო დეტალურად ასახავდეს პროგრამის განვითარების რეალურად არსებულ პერსპექტივებს, ხოლო პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უფრო სისტემური და თანმიმდევრული სახე მისცეს გარე დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობას და მეტად გაითვალისწინოს მათი მოთხოვნები პროგრამის განვითარების პროცესში;
- სასურველია დასაქმების ბაზრის უკეთ შესწავლა და სადოქტორო პროგრამის საკვლევი თემატიკის ეტაპობრივი გაფართოება კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით;
- ვინაიდან ციფრული ჰუმანიტარია ახალი, იმავდროულად ინტერდისციპლინური და სპეციფიკური სფეროა, მისი წარმატებით განვითარებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხარისხიან და სტაბილურ ტექნიკურ მხარდაჭერას. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის შედეგების მდგრადობა და სფეროს შემდგომი განვითარება, სასურველია, უნივერსიტეტის

ადმინისტრაციამ შექმნას სამეცნიერო-კვლევითი რგოლისთვის მდგრადი ტექნოლოგიური მხარდაჭერის მექანიზმი.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

| |
|---|
| 1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ისევე როგორც საკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები ცხადყოფს, რომ ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამა მისი მიზნებითა და შინაარსით, აგრეთვე გამოყენებითი ასპექტებით და საერთაშორისო თანამშრომლობით სრულად შეესაბამება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რაც ცოდნის შექმნას, გადაცემასა და გამოყენებას გულისხმობს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.<br>პროგრამის მიზნები ფორმულირებულია მკაფიოდ, გასაგებად და რეალისტურად. პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია როგორც დაწესებულების ადამიანური და მატერიალური რესურსი, ისე ციფრული ჰუმანიტარიის მიმართულებით ქვეყანში დაგროვილი გამოცდილება, ნაწილობრივ ის საჭიროებები, რომლებიც აქვს საქართველოს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სისტემას, შრომისა და განათლების ბაზარს. ციფრული ჰუმანიტარიის სპეციალისტებზე თანდათანობით იზრდება მოთხოვნა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომით ბაზარზე, ხოლო აღნიშნული მიმართულების სადოქტორო პროგრამა არ ფუნქციონირებს არც საქართველოს, არც კავკასიის და არც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რომელიმე ქვეყანაში.<br>ციფრული ჰუმანიტარია არის მსოფლიოს საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცის ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე, სწრაფად განვითარებადი და მოთხოვნადი ინტერდისციპლინური სფერო, რომლის პრობლემატიკა ძალიან მრავალფეროვანია, რის გამოც ხშირად რთულდება ამა თუ იმ პრიორიტეტის გამოკვეთა და მასზე კონცენტრირება. არსებობს ცდუნება მოიცვა ბევრი საკვლევი თემა. ცნობილია ასევე საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა: არ ხდება არსებული რესურსების და საჭიროებების ადეკვატური შესწავლა და მის საფუძველზე პრიორიტეტების იდენტიფიცირება.<br>ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამა ამ მხრივ გამონაკლისია. აღსანიშნავია პროგრამის ავტორების, მისი განმახორციელებელი პირების სწორი სტრატეგიული ხედვა პროგრამის მთელი კონცეფციის ფორმირების პროცესში. პროგრამაში გამოკვეთილია სამი პრიორიტეტული მიმართულება: ციფრული ეპიგრაფიკა, კომპიუტერული და კორპუსის |

| |
|---|
| ენათმეცნიერება, ციფრული პროსოპოგრაფია, რომელთა ფარგლებში „მოხდება დღემდე არარსებული ქართულენოვანი რესურსების შექმნა და საქართველოში დაცული კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო დონეზე წარმოდგენა“ (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროგრამის თვითშეფასების ანგარიში (შემდგომში: თვითშეფასების ანგარიში), გვ. 3).<br>უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის ანალიზმა, მატერიალური რესურსების ადგილზე დათვალიერებამ და პერსონალთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ პროგრამაში ფორმულირებული მიზნები სავსებით მიღწევადია არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსების, აგრეთვე არსებული საერთაშორისო კონტაქტების გამოყენებით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით |
| ✓ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;<br>✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია: https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/misia-2;<br>✓ კურიკულუმი;<br>✓ ინტერვიუები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, პოტენციურ სტუდენტებთან. |
| **რეკომენდაციები:**<br>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა |

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამა - საუკეთესო დასავლური პრაქტიკის გათვალისწინებით - შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისგან. „**სასწავლო კომპონენტი** - ითვალისწინებს კრედიტების დაგროვებას კვლევასთან დაკავშირებულ სალექციო კურსებში, რომლებიც წარმოდგენილია სადოქტორო სემინარების, ასისტირების, სწავლებისა და შეფასების სტრატეგიების და კვლევის მეთოდების სასწავლო კომპონენტებში. **კვლევითი კომპონენტი** - კი უშუალოდ კვლევის განხორციელებას და დისერტაციაზე მუშაობას გულისხმობს" (თვითშეფასების ანგარიში, გვ. 5). პროგრამის ფარგლებში სავალდებულოა სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება საერთაშორისო რეფერირებად გამოცემაში, რაც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს უწყობს დოქტორანტის და მისი მშობლიური უნივერსიტეტის ინტეგრაციას საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში.
სასწავლო და კვლევითი კომპონენტების მიზნების შესაბამისობა მათივე სწავლის შედეგებთან დასტურდება სილაბუსების შინაარსით, მათში მითითებული სწავლისა და სწავლების მეთოდებით, აგრეთვე სასწავლო კომპონენტისთვის მინიჭებული კრედიტების მოცულობით. კვლევითი კომპონენტისთვის კრედიტები მინიჭებულია პირობითად, ზალცბურგის პრინციპების გათვალისწინებით.
პროგრამის აღწერილობასა და სილაბუსებში მითითებული სწავლისა და სწავლების მეთოდებიდან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ელექტრონული სწავლების მეთოდი, მოდელირება/სიმულაცია, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და საველე მუშაობა, რომლებიც ზუსტად შეესაბამება ციფრული ჰუმანიტარიის, როგორც ინტერდისციპლინური სფეროს, სწავლების სპეციფიკას. აკრედიტაციის ექსპერტების ვიზიტის დროს, სხვადასხვა კომპონენტის განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუს პროცესში დაისვა კითხვები აღნიშნული მეთოდების გამოყენების თავისებურებებთან დაკავშირებით და მიღებულ იქნა ამომწურავი პასუხები.

სადოქტორო პროგრამების სასწავლო კომპონენტი ხშირად არის დისკუსიის საგანი როგორც საქართველოს, ისე ევროპის უნივერსიტეტებში. ერთი მხრივ, ვთანხმდებით, რომ დოქტორანტს სჭირდება გარკვეული, დამატებითი ცოდნის გადაცემა და უნარების გამომუშავება, თუმცა, ხშირად რთულდება დოქტორანტურის საფეხურზე ისეთი

| |
|---|
| სასწავლო კურსების შეთავაზება, რომლებიც არ იმეორებს მაგისტრატურის საფეხურის დისციპლინებს.<br>ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში მოცემული სასწავლო კურსები, ამ მხრივ, კარგად დაბალანსებულია და მომავალი დოქტორანტებისთვის შეთავაზებულია ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც სიახლეა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემისთვის. ესენია: „ციფრული ეპიგრაფიკის კვლევის მეთოდები და საქართველოს მრავალენოვანი ეპიგრაფიკა (ქართული, ძველი ბერძნული, არამეული, ებრაული)“ და „პროსოპოგრაფია როგორც კვლევის მეთოდი“ (კურიკულუმი, გვ. 5).<br>ვინაიდან დოქტორანტურის საფეხურის და, მათ შორის, ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის ერთ-ერთი მიზანი არის მომავალი მკვლევრებისა და უმაღლესი სკოლის პედაგოგების აღზრდა, პროგრამა ითვალისწინებს დოქტორანტებისთვის როგორც სწავლებისა და სწავლის, ისე კვლევის უახლესი მეთოდების სწავლებას. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ შემდეგი სასწავლო კურსები: „სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები“, „კომპიუტერული ენათმეცნიერების კვლევის მეთოდები“, „კორპუსის ენათმეცნიერების კვლევის მეთოდები“ და სხვ. (იხ. კურიკულიმი, გვ. 8-9). |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით |
| ✓ თვითშეფასების ანგარიში;<br>✓ კურიკულუმი;<br>✓ სილაბუსები;<br>✓ ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი;<br>✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება;<br>✓ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |

| |
|---|
| ○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| 1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| როგორც პროგრამის აღწერილობა (კურიკულუმი) და სილაბუსები მოწმობს, ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დოქტორანტურის საფეხურის სათანადო აღმწერებს (ცოდნა-გაცნობიერების, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის, კომუნიკაციის, სწავლის უნარების და ღირებულებების კრიტერიუმების შესაბამისად).<br>განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პროგრამის განხორციელების შედეგად ახალი ცოდნის შექმნა, „მისი ვალიდურობის დადასტურება საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციებში" (თვითშეფასების ანგარიში, გვ. 6) და ამ ახალი, ვალიდური ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება (ქართულენოვანი და საქართველოში დაცული უცხოენოვანი კულტურული მემკვიდრეობის დოკუმენტირება, მონაცემთა სტრუქტურირებული, ანოტირებული ბაზების და საანოტაციო ინსტრუმენტების შექმნა და სხვ.). |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით |
| ✓ თვითშეფასების ანგარიში;<br>✓ კურიკულუმი;<br>✓ სილაბუსები;<br>✓ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო. |

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას უზრუნველყოფს რამდენიმე ფაქტორი: 1) მზარდი მოთხოვნა ციფრული ჰუმანიტარიის სპეციალისტებზე როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ: შრომისა და, შესაბამისად, განათლების ბაზრის არსებობა; 2) ციფრული ჰუმანიტარიის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების არარსებობა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში (ციფრული ჰუმანიტარიის დამატებითი

| |
|---|
| საგანმანათლებლო პროგრამა დღეისათვის ფუნქციონირებს მხოლოდ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ციფრულ ჰუმანიტარიასთან დაკავშირებული რამდენიმე სასწავლო კურსი იკითხება აგრეთვე თსუ-სა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში); 3) ციფრული ჰუმანიტარიის მეთოდების მცოდნეთა მცირე რაოდენობა ქვეყანაში; 4) ციფრული ჰუმანიტარიის მიმართულებით სამეცნიერო-კვლევების შეზღუდული რაოდენობა ქვეყანაში; 5) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება ციფრული ჰუმანიტარიის მიმართულებით და ის საერთაშორისო თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც მოხდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის შემუშავება.<br><br>პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების სფერო საკმაოდ მრავალფეროვანია და მოიცავს „შესაბამისი პროფილის კვლევით ინსტიტუტებს, უნივერსიტეტებს, ლინგვისტურ ლაბორატორიებსა და ცენტრებს, შესაბამისი პროფილის საერთაშორისო და ადგილობრივ კვლევით პროექტებს, არქივებს, ბიბლიოთეკებს, საგამომცემლო დაწესებულებებს: რედაქციებს, გამომცემლობებს და სხვა“ (კურიკულუმი, გვ. 7). პროგრამის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა გაიზრდება იმ შემთხვევაშიც, თუ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი განახორციელებს კურსდამთავრებულთა რეგულარულ გამოკითხვებს, რაც დაგეგმილი აქვს პროგრამის განმახორციელებელ გუნდსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით |
| ✓ თვითშეფასების ანგარიში;<br>✓ კურიკულუმი;<br>✓ უნივერსიტეტის პარტნიორებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები;<br>✓ კურსდამთავრებულთა გამოკითხვის კითხვარი;<br>✓ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, პოტენციურ სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |

| |
|---|
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშმა და თანდართულმა დოკუმენტაციამ, ისევე როგორც ვიზიტის დროს ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების განსაზღვრისა და განვითარების მექანიზმი, რომელიც მოიცავს აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებს, დამსაქმებლებსა და კურსდამთავრებულებს. „აკადემიური პერსონალი, რომლებიც ასევე არიან კვლევითი ინსტიტუტების და ცენტრების წარმომადგენლები, აქტიურად მონაწილეობენ პროგრამის შექმნის და განხორციელების პროცესში და განაგრძობენ პროგრამის გაუმჯობესებაზე მუშაობას მისი ამოქმედების შემდეგ. განხილვის საფუძველზე პროგრამა მტკიცდება ისეთი წარმომადგენლობითი ერთეულების მიერ, როგორიც არის ფაკულტეტის საბჭო და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო“. უნივერსიტეტი ასევე გეგმავს სტუდენტების და კურსდამთავრებულების ჩართულობას პროგრამის შემდგომ განვითარებაში მათი სისტემური გამოკითხვების ფარგლებში (თვითშეფასების ანგარიში, გვ. 7-8; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი, გვ. 2). ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ზემოთ აღნიშნული მექანიზმი გამოყენებულ იქნა ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის შემთხვევაშიც (მაგალითად, პროგრამის შემუშავებაში აქტიურად იყო ჩართული ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტი). |

| |
|---|
| როგორც ინტერვიუების დროს გამოვლინდა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს და ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს მჭიდრო კავშირები აქვს ციფრული ჰუმანიტარიის არა მხოლოდ ე.წ. შიდა მომხმარებლებთან (როგორიცაა, მაგალითად, ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტი), არამედ გარე დაინტერესებულ მხარეებთან, როგორიცაა თი-ბი-სი ბანკი, პროგრამა ტრადოსის (SDL Trados Studio) გამავრცელებელი მთარგმნელობითი კომპანია JGTC, თსუ ენათმეცნიერების ინსტიტუტი და სხვ., თუმცა თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნული კავშირები და, ცალკეულ შემთხვევებში, სამომავლო თანამშრომლობის გეგმები არ ყოფილა აღნიშნული.<br>სასურველია, თვითშეფასების ანგარიში უფრო დეტალურად ასახავდეს პროგრამის განვითარების რეალურად არსებულ პერსპექტივებს, ხოლო პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უფრო სისტემური და თანმიმდევრული სახე მისცეს გარე დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობას და მეტად გაითვალისწინოს მათი მოთხოვნები პროგრამის განვითარების პროცესში.<br>გარდა ამისა, სასურველია დასაქმების ბაზრის უკეთ შესწავლა და სადოქტორო პროგრამის საკვლევი თემატიკის ეტაპობრივი გაფართოება კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით; |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით |
| ✓ თვითშეფასების ანგარიში;<br>✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი;<br>✓ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარები სტუდენტებისთვის, კურსდამთავრებულებისთვის და დამსაქმებლებისთვის;<br>✓ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან, პოტენციურ სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| სასურველია, თვითშეფასების ანგარიში უფრო დეტალურად ასახავდეს პროგრამის განვითარების რეალურად არსებულ პერსპექტივებს, ხოლო პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უფრო სისტემური და თანმიმდევრული სახე მისცეს გარე დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობას და მეტად გაითვალისწინოს მათი მოთხოვნები პროგრამის |

| |
|---|
| განვითარების პროცესში;<br><br>სასურველია დასაქმების ბაზრის უკეთ შესწავლა და სადოქტორო პროგრამის საკვლევი თემატიკის ეტაპობრივი გაფართოება კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით; |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

| |
|---|
| 2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას |

| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
|---|
| ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამაზე დოქტორანტების მიღება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. გარდა ამისა, უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული დამატებითი წინაპირობები შეესაბამება საუკეთესო დასავლურ გამოცდილებას, ითვალისწინებს პროგრამის ფარგლებში საკვლევი თემატიკის და, აქედან გამომდინარე, სწავლის შედეგების სპეციფიკას.<br>კერძოდ, რეკომენდებულია მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ჰუმანიტარულ და კომპიუტერულ მეცნიერებებში, სოციოლოგიის ან სხვა მონათესავე დარგებში. გარდა ამისა, მოწმდება დოქტორანტობის კანდიდატის მიერ ინგლისური ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე, რის გარეშეც დოქტორანტი ვერ შეძლებს უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობას და შესაბამისი ციფრული მეთოდების გამოყენებას კვლევის პროცესში.<br>მომავალ დოქტორანტებს მოეთხოვებათ აგრეთვე სადოქტორო კვლევითი განაცხადის წარდგენა და ზეპირი გამოცდა დარგობრივ კომისიასთან. დოქტორანტების შერჩევის ბოლო ორი კომპონენტი ემსახურება დოქტორანტობის კანდიდატების იმ უნარებისა და ღირებულებების შეფასებას, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს პროგრამით განსაზღვრული დარგობრივი ცოდნის მიღება - ახალი ცოდნის შექმნა და მთელი რიგი ტრანსფერული უნარების გამომუშავება.<br>პროგრამაზე მიღების წინაპირობების საჯაროობასა და გამჭვირვალობას უზრუნველყოფს ილიაუნის ვებგვერდი, რომელიც დაინტერესებულ პირებს აწვდის სათანადო ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. ინფორმაციის გავრცელების თვალსაზრისით ასევე ეფექტურია შიდასაუნივერსტეტო ელექტრონული სისტემა „არგუსი“, რაზეც არაერთხელ მიუთითეს სტუდენტებმა და კურსადმთავრებულებმა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით |
| ✓ თვითშეფასების ანგარიში;<br>✓ კურიკულუმი;<br>✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის მარეგულირებელი წესი;<br>✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება;<br>✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, რუბრიკა „სწავლა“;<br>✓ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან. |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ |

დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის განხორციელების პროცესში დაგეგმილია სწავლებისა და სწავლის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება. როგორც სილაბუსების ანალიზმა ცხადყო, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, ერთი მხრივ, შეესაბამება შესაბამისი კომპონენტის სწავლის შედეგებს, ხოლო, მეორე მხრივ, მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის შედეგების მიღწევას.

კერძოდ, დაგეგმილია შემდეგი მეთოდების გამოყენება: ლექცია და სემინარი (ვერბალური და წერითი მეთოდი); პრაქტიკული მეთოდი; ელექტრონული სწავლების ელემენტები; დემონსტრირების მეთოდი; ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა; დისკუსია; შემთხვევის ანალიზი; მოდელირება/სიმულაცია; რეფლექსია; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; ინდუქციური და დედუქციური მეთოდები; თვისებრივი და რაოდენობრივი

| |
|---|
| კვლევის მეთოდები; საველე მუშაობა (თვითშეფასების ანგარიში, გვ. 10; კურიკულუმი, გვ. 3).<br>როგორც უკვე აღინიშნა (იხ. ზემოთ აკრედიტაციის ექსპერტების დასკვნა 1.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით), პროგრამის აღწერილობასა და სილაბუსებში მითითებული სწავლისა და სწავლების მეთოდებიდან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ელექტრონული სწავლების მეთოდი, მოდელირება/სიმულაცია, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და საველე მუშაობა, რომლებიც ზუსტად შეესაბამება ციფრული ჰუმანიტარიის, როგორც ინტერდისციპლინური სფეროს, სწავლების სპეციფიკას. აკრედიტაციის ექსპერტების ვიზიტის დროს, სხვადასხვა კომპონენტის განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუს პროცესში დაისვა კითხვები აღნიშნული მეთოდების გამოყენების თავისებურებებთან დაკავშირებით და მიღებულ იქნა ამომწურავი პასუხები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით |
| ✓ თვითშეფასების ანგარიში;<br>✓ კურიკულუმი;<br>✓ სილაბუსები;<br>✓ ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან. |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

როგორც კურიკულუმისა და სილაბუსების ანალიზმა წარმოაჩინა, ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამა თავისი სტრუქტურით დაბალანსებულია. ის ითვალისწინებს პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტების ლოგიკურ თანმიმდევრობას, რაც გულისხმობს ცოდნის გადაცემას მარტივიდან რთულის მიმართულებით, თუმცა იმავდროულად სტუდენტს აძლევს საშუალებას, რომ მისი საკვლევი თემატიკის სპეციფიკის გათვალისწინებით თავად შეადგინოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და უზრუნველყოს თავისი სადისერტაციო ნაშრომის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევა.

მაგალითად, სწავლება იწყება სადოქტორო სემინარით, სწავლებისა და შეფასების სტრატეგიების, აგრეთვე კვლევის მეთოდების სასწავლო კურსებით, რითიც დოქტორანტს უმუშავდება საბაზისო პედაგოგიური და კვლევითი უნარები. შემდგომ ეტაპზე დაგეგმილია მეორე სადოქტორო სემინარი, აკადემიური წერის პრინციპების სწავლება და ასისტირება, რისთვისაც დოქტორანტი თავიდანვე იქნა მომზადებული.

დოქტორანტების სხვადასხვა სამეცნიერო ინტერესებს ითვალისწინებს შემდეგი სასწავლო კურსები: ,,კომპიუტერული ენათმეცნიერების კვლევის მეთოდები“ და ,,კორპუსის ენათმეცნიერების კვლევის მეთოდები“ (სავალდებულოა მხოლოდ კომპიუტერული და კორპუსის ენათმეცნიერების მიმართულების დოქტორანტისთვის), ,,კვლევის მეთოდების ციფრულ ეპიგრაფიკაში“ (სავალდებულოა მხოლოდ ამ მიმართულების დოქტორანტისთვის), ,,პროსოპოგრაფია როგორც კვლევის მეთოდი“ (სავალდებულოა მხოლოდ ამ მიმართულების დოქტორანტისთვის).

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ✓ კურიკულუმი;
- ✓ სილაბუსები;
- ✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის

დებულება.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში სტუდენტების ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. გარდა ამისა, ზოგადი ჩარჩო განსაზღვრულია შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციებით, ხოლო სასწავლო კურსების შემთხვევაში კიდევ უფრო მეტად არის დაკონკრეტებული შესაბამის სილაბუსებში (იხ.: ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი და სილაბუსები).

სასწავლო კომპონენტის შეფასების დროს გამოიყენება საკმაოდ მრავალფეროვანი ფორმები, რომელთა ნაწილი, ჩვეულებრივ, გვხვდება ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურზე (მაგალითად, ტესტი, აქტიურობა, საშინაო დავალებები, კვლევითი პროექტი და სხვ.), მაგრამ შეფასების მეთოდების აბსოლუტური უმრავლესობა მიზნად ისახავს დოქტორანტურისთვის სპეციფიკური სწავლების შედეგების „გაზომვას“. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ კოლეგიალური შეფასება, დარგობრივი სამეცნიერო წიგნის რეცენზია, პროსპექტუსის შუალედური და საბოლოო ანგარიშები, პროსპექტუსის მონახაზი, პროსპექტუსის დაცვა (წერილობითი ნაშრომი) და მისი პრეზენტაცია, სადისერტაციო პორტფოლიო, აკადემიური სტატია და სხვ.

თითოეული სტუდენტის შეფასების მონაცემები განთავსდება შიდასაუნივერსიტეტო ელექტრონულ სისტემა ,,არგუსში'' http://argus.iliauni.edu.ge/.

სამეცნიერო კომპონენტის შეფასების სისტემა ასევე დაკონკრეტებულია საუნივერსიტეტო რეგულაციებში და უზრუნველყოფს ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის როგორც დარგობრივი, ისე ზოგადი (ტრანსფერული) სწავლის შედეგების მიღწევას (იხ.:ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება, გვ. 7-8).

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ✓ თვითშეფასების ანგარიში;
- ✓ კურიკულუმი;
- ✓ სილაბუსები;
- ✓ ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი;
- ✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში კვალიფიკაციის მინიჭების წესი;
- ✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ „სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა „არგუსით" სასწავლო კურსებზე რეგისტრაციისას სტუდენტს შესაძლებლობა აქვს თავიდანვე გაეცნოს სილაბუსებს/კონცეფციებს და კურსის დაწყებისთანავე იცოდეს შეფასების ძირითადი კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები. კურსის მიმდინარეობის მანძილზე სტუდენტს საშუალება აქვს, „არგუსით" ადევნოს თვალი თავის მიმდინარე შეფასებებს და დროული რეაგირება მოახდინოს მიღწეულ შედეგებზე. „არგუსი" იძლევა აგრეთვე, ლექტორსა და სტუდენტს შორის ეფექტური და იოლი კომუნიკაციის შესაძლებლობას, რაც ლექტორებს საშუალებას

აძლევს, მეტი წერილობითი უკუკავშირი მისცენ სტუდენტებს კურსის ფარგლებში მათ მიერ გაწეული სამუშაოს, მიღწეული შედეგებისა და ნაკლოვანებების შესახებ. პროგრამის თითოეულ კომპონენტში გამოყენებული შეფასების ფორმები, კრიტერიუმები და მეთოდები მოცემულია შესაბამის სილაბუსებში/კონცეფციის დოკუმენტებში, რაც შეფასების პროცესს გამჭვირვალეს ხდის“ (თვითშეფასების ანგარიში, გვ. 11-12).

აღნიშნული ინფორმაცია დადასტურდა მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგად. გაირკვა, რომ სტუდენტები მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და ცოდნის გაუმჯობესების გზების შესახებ ინფორმაციას იღებენ როგორც ლექცია-სემინარების ფარგლებში და ლექტორებთან საკონსულტაციო შეხვედრებზე, ისე „არგუსის“ საშუალებით.

სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა „არგუსი“ მრავალგზის შეფასდა როგორც ინფორმაციის სწრაფი გაცვლის, სტუდენტების ლექტორებთან და ადმინისტრაციასთან კომუნიკაციის ძალიან ქმედითი საშუალება, კარგი ინსტრუმენტი სასწავლო პროცესის ეფექტური ადმინისტრირებისა და გაუმჯობესებისათვის.

სილაბუსების ანალიზის შედეგად ასევე დადგინდა, რომ სასწავლო კომპონენტში გამოიყენება არა მხოლოდ დოქტორანტურისთვის სპეციფიკური შეფასების ფორმები და მიდგომები, არამედ შეფასების კრიტერიუმებიც მათი შესაბამისია და სტუდენტს უქმნის მკაფიო წარმოდგენას მისი ცოდნის შეფასების სისტემის შესახებ, ქმნის კარგ წინაპირობას ობიექტური და სამართლიანი შეფასებისთვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ✓ თვითშეფასების ანგარიში;
- ✓ სილაბუსები;
- ✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი;
- ✓ სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება;
- ✓ ინტერვიუები ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

| |
|---|
| ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | X | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

| |
|---|
| 3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |

| |
|---|
| ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა მხარდაჭერის მრავალფეროვანი სერვისები. როგორც ვიზიტის დროს დადგინდა, სტუდენტები დროულად იღებენ ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების თავისებურებების შესახებ; მათ დროულ და კვალიფიციურ კონსულტაციას და დახმარებას უწევენ: პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, ფაკულტეტისა და ცენტრალური ადმინისტრაციის წარმომადგენლები. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა სწორად განსაზღვრონ თავისი პროფილი, დაგეგმონ სასწავლო პროცესი და საჭიროების შემთხვევაში გაიუმჯობესონ მიღწევები.<br>კერძოდ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტების მხარდამჭერი შემდეგი სერვისები: ხელშეკრულების გაფორმება და მხარეთა ვალდებულებების განსაზღვრა სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა „არგუსი“, ონლაინ და აგრეთვე ინდივიდუალური კონსულტაციები ლექტორებთან, ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტთან და კოორდინატორთან, სტუდენტების დროული ინფორმირება აკადემიური მიღწევების შესახებ, სისტემატური უკუკავშირი ლექტორებისგან შუალედური შეფასებების თაობაზე, ტრენინგები საინფორმაციო რესურსების მომხარების საკითხებზე, ინფორმაციის გავრცელება ელფოსტით და ვებგვერდით და სხვ. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით |
| ✓ თვითშეფასების ანგარიში;<br>✓ სილაბუსები;<br>✓ უნივერსიტეტის ვებგვერდი;<br>✓ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა „არგუსი“;<br>✓ ინტერვიუები სტუდენტებთან და კურსადმთავრებულებთან. |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობები მიიღონ დროული და ეფექტური კონსულტაცია და დახმარება აკადემიური პერსონალისგან. „სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა „არგუსში“, თითოეულ სტუდენტს და ლექტორებს გააჩნიათ ინდივიდუალური გვერდები/პროფილები, რაც წარმოადგენს კომუნიკაციის ეფექტურ მედიუმს, რომლის მეშვეობით სტუდენტს ეძლევა საშუალება შესაბამის ლექტორთან კონსულტაცია გაიაროს ონლაინ რეჟიმში. აკადემიური პერსონალის საკონტაქტო ინფორმაცია ჩატვირთულია უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის სისტემაში, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს, სწრაფად დაუკავშირდეს სასურველ აკადემიურ პერსონალს და ინდივიდუალურად დანიშნოს შეხვედრა ლექტორთან/პროფესორთან ან მასთან ონლიან კონსულტაცია გაიაროს“ (თვითშეფასების ანგარიში, გვ. 13-14).
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება ასევე განსაზღვრავს აკადემიური ხელმძღვანელის ფუნქციებს, რომელიც დოქტორანტს ხელმძღვანელობს უწევს და ეხმარება სასწავლო და კვლევითი კომპონენტის მიმდინარეობისას სხვადასხვა აქტივობებში (მაგ: კვლევის დაგეგმვა; პუბლიკაციაზე მუშაობა, ასისტირება და სხვა). დოქტორანტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა სასწავლო კომპონენტის ფარგლებში მიიღონ კონსულტაციები ხელმძღვანელისგან/თანახელმძღვანელისგან/ლექტორისგან ყოველკვირეული ინდივიდუალური გრაფიკით. ციფრული ჰუმანიტარიის სილაბუსების ნაწილში გარკვეული დრო ეთმობა შუალედური შეფასებების განხილვას.
ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასებაში, სილაბუსებსა და საუნივერსიტეტო რეგულაციებში მოცემული ინფორმაცია სრულად დადასტურდა

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, აგრეთვე აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების შედეგად. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა მრავალგზის ხაზგასმით აღნიშნეს ლექტორების მიერ შექმნილი თანამშრომლობითი გარემო, ლექტორების მზაობა კონსულტაციისა და დახმარებისთვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ✓ თვითშეფასების ანგარიში;
- ✓ სილაბუსები;
- ✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება;
- ✓ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა „არგუსი“;
- ✓ ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსადმთავრებულებთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების კვლევითი კომპონენტის განვითარება, სტუდენტების კვლევით პროექტებში ჩართვა, აგრეთვე სხვადასხვა სახის სტუდენტური ცხოვრების მხარდაჭერა და წახალისებაა. უნივერსიტეტში განვითარებულია სტუდენტური ცხოვრების ე.წ. კლუბური მოდელი. „სტუდენტური სერვის-ცენტრის ხელშეწყობით შექმნილია სხვადასხვა კლუბი, სადაც ყველა სტუდენტს შეუძლია დამოუკიდებელი ინიციატივის განხორციელება და დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე ახალი კლუბის შექმნა“ (თვითშეფასების ანგარიში, გვ. 14). სტუდენტები კლუბებში ერთიანდებიან თავისი პროფესიული ინტერესების, შემოქმედებითი უნარების თუ ჰობის გათვალისწინებით.
ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის განხორციელება დაგეგმილია სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის ფარგლებში და იგი ითვალისწინებს დოქტორანტების ჩართვას ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის მიერ წარმოებულ სამეცნიერო კვლევებში, რაც დადასტურდა როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ისე ინტერვიუებით სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ✓ თვითშეფასების ანგარიში;
- ✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება;
- ✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- ✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ცენტრების და ინსტიტუტების საქმიანობა: http://www.iliauni.edu.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=588;
- ✓ ინტერვიუები სტუდენტებთან, კურსადმთავრებულებთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია - უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად - მოიცავს ბევრ სხვადასხვა აქტივობას როგორც საგანმანათლებლო, ისე სამეცნიერო-კვლევითი კუთხით.<br>ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში სახეზეა ინტერნაციონალიზაციის სხვადასხვა ასპექტები. კერძოდ, 1) როგორც ინტერვიუების შედეგად გაირკვა, პროგრამა შემუშავდა ციფრული ჰუმანიტარიის ერთ-ერთი წამყვან ევროპულ დაწესებულებასთან, კინგს კოლეჯის ციფრული ჰუმანიტარიის ცენტრთან თანამშრომლობის ფარგლებში; 2) პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აქტიურ საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ეწევიან საერთაშორისო მასშტაბით. მონაწილეობენ საერთაშორისო ღონისძიებებში, სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და კვლევებში, აქვეყნებენ ნაშრომებს |

| |
|---|
| საერთაშორისო პერიოდულ გამოცემებში, თანამშრომლობენ უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებთან; 3) სწავლების პროცესში დაგეგმილია უახლესი სამეცნიერო ლიტერატურისა და ელექტრონული რესურსების გამოყენება, რაც უზრუნველყოფს საერთაშორისო კონტექსტს პროგრამის ფარგლებში სწავლებისა და კვლევისთვის. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს წვდომა საერთაშორისო ბაზებზე (მათ შორის: ScienceDirect, Scopus, PsycInfo, Heinonline, Thomson Reuters, ProQuest, EBSCO, Jstor, Project Muse, Cambridge Journals, DOAJ, ebrary, Oxford Journals და სხვა); 4) შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის ფარგლებში გათვალისწინებულია დოქტორანტების სტაჟირება უცხოეთში; 5) პროგრამის ერთ-ერთი მოთხოვნა არის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში პუბლიკაციის მომზადება, როგორც პროგრამის შედეგების ინტერნაციონალიზაციის საშუალება.<br>აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის ერთ-ერთი თანამშრომელი და იმადროულად მონათესავე პროგრამის კურსდამთავრებული და ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის ერთ-ერთი პოტენციური სტუდენტი უნივერსიტეტის დაფინანსებით იმყოფებოდა ლონდონში, ციფრული ჰუმანიტარიის საერთაშორისო ვორკშოპზე და მასთან ინტერვიუ ჩატარდა სკაიპის საშუალებით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით |
| ✓ თვითშეფასების ანგარიში;<br>✓ კურიკულუმი;<br>✓ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;<br>✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის და სადისერტაციო საბჭოს დებულება;<br>✓ საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის პორტალი www.library.iliauni.edu.ge;<br>✓ ინტერვიუები სტუდენტებთან, კურსადმთავრებულებთან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალთან. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

| |
|---|
| ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

| 4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამა განხორციელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტისა და ლინგვისტურ კვლევათა ცენტრის ბაზაზე, რაც პროგრამას უზრუნველყოფს შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით. პროგრამას მოემსახურება უნივერსიტეტში არსებული სალექციო აუდიტორიები, საინფორმაციო კომპიუტერული ცენტრი, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა (ბიბლიოთეკის ფონდი და საერთაშორისო ელექტრონული ბაზები), სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა „არგუსი" და სხვ. |

გარდა ამისა, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის ფარგლებში მოხდება საერთაშორისო ექსპერტების მოწვევა, ჩატარდება კვლევითი საველე სამუშაოები, დამატებით შეძენილ იქნება უახლესი სამეცნიერო ლიტერატურა და ელექტრონული პროგრამები.

ვინაიდან ციფრული ჰუმანიტარია ახალი, იმავდროულად ინტერდისციპლინური და სპეციფიკური სფეროა, მისი წარმატებით განვითარებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხარისხიან და სტაბილურ ტექნიკურ მხარდაჭერას. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის შედეგების მდგრადობა და მათი შემდგომი განვითარება, სასურველია, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ შექმნას სამეცნიერო-კვლევითი რგოლისთვის მდგრადი ტექნოლოგიური მხარდაჭერის მექანიზმი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ✓ თვითშეფასების ანგარიში;
- ✓ სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა "არგუსი" http://argus.iliauni.edu.ge/;
- ✓ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა http://library.iliauni.edu.ge/;
- ✓ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან;
- ✓ დაწესებულების ინფრასტრუქტურის ადგილზე დათვალიერება.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ვინაიდან ციფრული ჰუმანიტარია ახალი, იმავდროულად ინტერდისციპლინური და სპეციფიკური სფეროა, მისი წარმატებით განვითარებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხარისხიან და სტაბილურ ტექნიკურ მხარდაჭერას. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის შედეგების მდგრადობა და მათი შემდგომი განვითარება, სასურველია, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ შექმნას სამეცნიერო-კვლევითი რგოლისთვის მდგრადი ტექნოლოგიური მხარდაჭერის მექანიზმი.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| |
|---|
| |
| **შეფასება**<br><br> o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეების ანალიზმა დაადასტურა, რომ მათ აქვთ განხორციელებული კომპონენტის სწავლის შედეგების შესაბამისი განათლება, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი, აგრეთვე პროფესიული გამოცდილება. გარდა ამისა, ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვთ შესაბამისი პროფილის ნაშრომი/მონოგრაფია/სტატია.<br>საგანგებოდ უნდა აღინიშნოს პროგრამის განხორციელებაში ჩართული ლექტორები, რომლებიც განეკუთვნებიან ქართველი მკვლევარების იმ მცირერიცხოვან ჯგუფს, რომლებსაც აქვთ ღირებული პროფესიული გამოცდილება ციფრული ჰუმანიტარიის სფეროში.<br>მაგალითად, პროგრამის ხელმძღვანელი, არის საქართველოში განხორციელებული და საერთაშორისო სამეცნიერო პორტალებზე განთავსებული ელექტრონული კორპუსების ერთ-ერთი შემქნელი. მას ქართული ენის კორპუსის, ქართული მთარგმნელობითი კორპუსის შედგენის პრინციპებისა და ზოგადად, ციფრული ჰუმანიტარიის ცალკეულ საკითხებზე წაკითხული და დაბეჭდილი აქვს არაერთი მოხსენება ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე. მათ შორის გამოქვეყნებული აქვს სტატია ძველი ქართული მთარგმნელობითი კორპუსის დიზაინის, მისი შედგენის პრინციპების შესახებ ტომსონის ნუსხის საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში: „Le Muséon“, Revue d’ Études Orientales, 124 Nr. 3-4, 2011. |

| |
|---|
| პროგრამაში ჩართული ერთ-ერთი ასოცირებული პროფესორის, კვლევით ინტერესს ბუნებრივი ენის დამუშავება წარმოადგენს, კერძოდ, კომპიუტერული მოდელირების შესაძლებლობანი კონკატენციური მორფოლოგიის მქონე ენებისათვის როგორიცაა ქართული. იგი იყო რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის კოორდინატორი და ხელმძღვანელობდა ანალიზატორზე მომუშავე ჯგუფს, რომელმაც შექმნა სასრული პოზიციის გარდამქმნელი ქსეროქს-კალკულუსის საშუალებების გამოყენებით, როგორიცაა xfst და lexc. აღნიშნული მორფოლოგიური ანალიზატორი გამოყენებულ იქნა ქართული ენის კორპუსის ანოტირებისათვის და იდიომური გამოთქმების ონლაინ ლექსიკონის ახალი ტიპის საძიებო სისტემის შესაქმნელად. ამჟამად ის მუშაობს ანალიზატორის ბოლო ვერსიის გაუმჯობესებაზე და ქართული ხელნაწერების ვიზუალურ და ლინგვისტურ ანოტირებაზე ციფრული ანოტირებისა და დაკავშირების საშუალებების გამოყენებით.<br>უნივერსიტეტი გეგმავს წელიწადში არა უმეტეს 3 სტუდენტის მიღებას, ხოლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 7 პირი. მათგან 6 არის აკადემიური პერსონალი, ხოლო ერთი - მოწვეული. პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობა სავსებით უზრუნველყოფს პროგრამის სრულყოფილად განხორციელებას და მის მდგრადობას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით |
| ✓ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;<br><br>პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ შექმნილი ელექტრონული რესურსები:<br>✓ http://corpora.iliauni.edu.ge/;<br>✓ http://epigraphy.iliauni.edu.ge/;<br>✓ http://v2.prosopography.iliauni.edu.ge/main;<br>✓ http://qakuna.ge/;<br>✓ http://corpora.iliauni.edu.ge/qats/index.php;<br>✓ http://corpora.iliauni.edu.ge/?q=node/11;<br>✓ https://schoenberginstitute.org/dm-tools-for-digital-annotation-and-linking/ |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |

| |
|---|
| **შეფასება**<br><br>ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის ტექნიკურ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ადმინისტრაცია. კერძოდ, პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი და სასწავლო პროცესის კოორდინატორი. გარდა ამისა, ფაკულტეტის ადმინისტრაციას და დამხმარე პერსონალს წარმოადგენს ფაკულტეტის დეკანი, დეკანის თანაშემწე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტები.<br>როგორც სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების, აგრეთვე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ინტერვიუებიდან დადგინდა, სასწავლო პროცესი ეფექტურად იმართება ელექტრონული სისტემა „არგუსის“ მეშვეობით, რომლის გამართულ მუშაობაზეც პასუხისმგებელია ტექნოლოგიების დეპარტამენტი. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი სტუდენტებს უწევს დროულ, კვალიფიციურ და ეფექტურ მომსახურებას, ტექნიკურ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით |

- ✓ თვითშეფასების ანგარიში;
- ✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დებულება;
- ✓ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები;
- ✓ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა „არგუსი";
- ✓ ინტერვიუები ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას

| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი |
| --- |
| ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| როგორც უკვე აღინიშნა, ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის განხორციელების პროცესში დაგეგმილია უახლესი სამეცნიერო ლიტერატურისა და ელექტრონული რესურსების გამოყენება, რაც უზრუნველყოფს საერთაშორისო კონტექსტს პროგრამის ფარგლებში სწავლებისა და კვლევისთვის. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს წვდომა საერთაშორისო ბაზებზე. მათ შორისაა: ScienceDirect, Scopus, PsycInfo, Heinonline, Thomson Reuters, ProQuest, EBSCO, Jstor, Project Muse, Cambridge Journals, DOAJ, ebrary, Oxford Journals და სხვ.<br>სწავლებისა და კვლევის ხარისხის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია წვდომა არა მხოლოდ სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებზე, არამედ უახლეს მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებზე.<br>აკრედიტაციის ექსპერტების ვიზიტის დროს უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ექსპერტებს წარუდგინა იმ უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის ჩამონათვალი (20-ზე მეტი ერთეული) და შესაბამისი ლიტერატურის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მიღება-ჩაბარების აქტები, რომელთა შეძენაც მოხდა საგანგებოდ ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში. ლიტერატურის არსებობა დადასტურდა საბიბლიოთეკო რესურსების ადგილზე დათვალიერებითაც.<br>შეძენილი ლიტერატურა შეეხება ციფრული ჰუმანიტარიის სხვადასხვა ასპექტებს და მათი გამოყენება შესაძლებელი იქნება არა მხოლოდ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალის, არამედ სხვა უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების წარმომადგენლებისთვის. აღნიშნული ადასტურებს, რომ ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის, არამედ საქართველოში ჰუმანიტარული მეცნიერებების სწავლებისა და კვლევის მოდერნიზაციისთვის. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით |
| ✓ სილაბუსები;<br>✓ შეძენილი ლიტერატურის მიღება-ჩაბარების აქტები;<br>✓ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან;<br>✓ საბიბლიოთეკო რესურსების ადგილზე დათვალიერება. |

| რეკომენდაციები: |
|---|
| წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება** |
| o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |

როგორც უკვე აღინიშნა, ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის განხორციელება დაგეგმილია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტის რეკვიზიტები: DP 2016_23). აღნიშნული გრანტის ფარგლებში მოხდება საერთაშორისო ექსპერტების მოწვევა, ჩატარდება კვლევითი საველე სამუშაოები, დამატებით შეძენილ იქნება უახლესი სამეცნიერო ლიტერატურა და ელექტრონული პროგრამები. გარდა ამისა, სადოქტორო პროგრამის უზრუნველყოფისთვის საჭირო დამატებითი ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ბიუჯეტში. მაგალითად, 2010 წლიდან მოყოლებული უნივერსიტეტი აფინანსებს ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტს ციფრული ჰუმანიტარიის პროექტების განსახორციელებლად, რომელთაც აქვთ ღია წვდომა და რომლებიც ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისთვის (იხ.: http://iliauni.edu.ge/ge/iliauni/institutebi-451/lingvistur-kvlevata-centri-467).

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის ამოწურვის შემდეგ იგეგმება პროგრამის განხორციელების დაფინანსება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან. აღნიშნულ განაცხადს ამყარებს ის თანხები, რომლებიც უნივერსიტეტს უკვე დახარჯული აქვს ლინგვისტურ კვლევათა ცენტრის ფუნქციონირებაზე და ციფრული ჰუმანიტარიის მიმართულებით სამეცნიერო-კვლევების განხორციელებაზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ✓ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი (რეკვიზიტები: DP 2016_23);
- ✓ უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- ✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის მიერ განხორციელებული პროექტები ციფრულ ჰუმანიტარიაში: http://iliauni.edu.ge/ge/iliauni/institutebi-451/lingvistur-kvlevata-centri-467;
- ✓ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა

| |
|---|
| აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | X | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

| |
|---|
| 5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე„ ციკლს |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება „დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლს, რაც დასტურდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით, შესაბამისი საუნივერსიტეტო რეგულაციებით, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დანერგილი მექანიზმებითა და მათი იმპლემენტაციის შედეგებით.<br>„ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს სასწავლო პროცესების ხარისხის შეფასებისთვის საჭირო ინსტრუმენტებსა და მეთოდებს, გეგმავს შეფასების პერიოდულობას, უზრუნველყოფს შეფასებას და მოპოვებული მონაცემების საფუძველზე წერს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად" (თვითშეფასების ანგარიში, გვ. 18). |

| |
|---|
| ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ეფექტურად იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს - კერძოდ, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა „არგუსს“ - არა მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრირებისა და ეფექტური კომუნიკაციისთვის, არამედ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ავტომატიზებისთვის. „არგუსში“ ინტეგრირებულია პროგრამული პაკეტი, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული მაქსიმალური რაოდენობის სტუდენტთა გამოკითხვების ჩატარებას ონლაინ რეჟიმში. შეფასების შედეგები ხელმისაწვდომი ხდება როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის, ასევე კომპონენტის განმახორციელებლისთვის (აკადემიური და მოწვეული პერსონალი).<br>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს კურსდამთავრებულთა სისტემატურ გამოკითხვასაც, რომლის შედეგებს ასევე იყენებს პროგრამის განვითარების პროცესში. დაგეგმილია პოტენციურ დამსაქმებლებთან კომუნიკაციის გაუმჯობესებაც. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით |
| ✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;<br>✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი;<br>✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევების ანგარიშები;<br>✓ ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული სარეკომენდაციო ფორმები, კითხვარები;<br>✓ ინტერვიუები აკადემიურ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსადმთავრებულებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან. |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება** |

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად**

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და, განსაკუთრებით, თანდართული დოკუმენტაცია გვაწვდის დეტალურ ინფორმაციას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული და დანერგილი შიდა შეფასების მექანიზმების შესახებ (როგორიცაა, მაგალითად, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიზნობრივი გამოკითხვები, ფოკუს ჯგუფები და სხვ.). საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასება ხორციელდება ავტორიზაციისა და აკრედიტაციის / უნივერსიტეტის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის ფარგლებში. როგორც შიდა, ისე გარე შეფასების შედეგები გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისთვის.
აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციის ექსპერტების ვიზიტის პროცესში დადასტურდა ხარისხის უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო პოლიტიკის რეალური იმპლემენტაცია - სტუდენტებთან უკუკავშირის არსებობა და მათი მოსაზრებების გათვალისწინება პროგრამების მოდიფიკაციის პროცესში.
ციფრული ჰუმანიტარიის მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებმა დაასახელეს კონკრეტული მაგალითები, როდესაც მათი მოთხოვნის საფუძველზე ფაკულტეტმა ცვლილებები შეიტანა საგანმანათლებლო პროგრამაში. კერძოდ, მაგისტრატურის საფეხურის ერთ-ერთი ინტერდისციპლინური სასწავლო კურსის შინაარსი შეიცვალა. თავდაპირველად ის ორიენტირებული იყო მხოლოდ კომპიუტერული მეცნიერებების სპეციალისტებზე, ხოლო შემდეგ მასში აისახა ჰუმანიტარული მეცნიერებების სხვადასხვა ასპექტები. ამგვარად, სასწავლო კურსი უკეთ მოერგო მის მსმენელთა დარგობრივ ცოდნასა და უნარებს, რამაც პოზიტიური გავლენა იქონია სწავლების ხარისხზე.

| მტკიცებულებები/ინდიკატორები |
|---|
| ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით |
| ✓ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;<br>✓ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი;<br>✓ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სტუდენტებისთვის და კურსდამთავრებულებისთვის შემუშავებული კითხვარები;<br>✓ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|

| | | | |
|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | |

### თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:** დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა ციფრული ჰუმანიტარია

**დასკვნის გვერდების რაოდენობა:** 43

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | X | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | X | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | |
| საბოლოო შეფასება | X | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | X | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | X | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | |
| საბოლოო შეფასება | X | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: